

მდგრადი ორგანული დაბინძურებლების შესახებ
ეროვნული სამოქმედო გეგმა

2018-2022 წწ.

შინაარსი

მოკლე მიმოხილვაError! Bookmark not defined.
ეროვნული სამოქმედო გეგმის ძირითადი მიზნები 6
ეროვნული სამოქმედო გეგმის პრიორიტეტები..... 6
სამოქმედო გეგმებიError! Bookmark not defined.

ცხრილები:

ცხრილი 1. საკანონმდებლო ბაზის შემუშავების და ინსტიტუციური გაძლიერების გეგმა..... 10
ცხრილი 2. მოდ-პესტიციდების სამოქმედო გეგმა 14
ცხრილი 3. პოლიქლორირებული ბიფენილების (PCB) სამოქმედო გეგმა 16
ცხრილი 4. პოლიბრომირებული დიფენილ ეთერები (PBDEs) სამოქმედო გეგმა .. 20
ცხრილი 5. ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანის (HBCD) სამოქმედო გეგმა 22
ცხრილი 6. პერფტოროქტან სულფონმჟავას (PFOS) და მისგან წარმოებული ქიმიური ნივთიერებების სამოქმედო გეგმა 25
ცხრილი 7. არაგანზრახ წარმოებული მოდ-ის (UPOPs) სამოქმედო გეგმა28
ცხრილი 8. ნარჩენების და მოდ-ის შემცველი მარაგების უსაფრთხო მართვის და დაბინძურების კონტროლის სამოქმედო გეგმა..... 30
ცხრილი 9. მოდ-ით დაბინძურებული ტერიტორიების მართვის სამოქმედო გეგმა 35
ცხრილი 10. მოდ-ის საკითხებში ცნობიერების ამაღლების სამოქმედო გეგმა 40
ცხრილი 11. მოდ-ის კვლევის და მონიტორინგის სამოქმედო გეგმა 50

მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (მოდ) შესახებ სტოკჰოლმის 2001 წლის 22 მაისის კონვენციის (SC) მე-7 მუხლის თანახმად შედგენილ, საქართველოში მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (მოდ) მართვისა და ეტაპობრივად გამოყენებიდან ამოღების ეროვნულ სამოქმედო გეგმას (NIP) (შემდგომში - ეროვნული სამოქმედო გეგმა). საქართველომ სტოკჰოლმის კონვენციის რატიფიცირება 2006 წლის 4 ოქტომბერს მოახდინა, (ძალაში შევიდა 2007 წლის 2 იანვრიდან).

2004 წლიდან სტოკჰოლმის კონვენცია მთელ მსოფლიოში კრძალავს რვა სახის პესტიციდის (ალდრინი, ქლორდანი, 1,1,1-ტრიქლორ-2,2-ბის (n-ქლოროფენილ) ეთანი (DDT), დილდრინი, ენდრინი, ჰექსაქლორი, მირექსი და ტოქსაფენი), ორი სამრეწველო ქიმიკატის (ჰექსაქლორბენზოლი და პოლიქლორირებული ბიფენილები (PCB)) დაწვის პროცესის ორი სახის თანაპროდუქტის (დიოქსინები და ფურანები) წარმოებას, გამოყენებას და გაყიდვას.

2009, 2011 და 2013 წლებში მხარეთა კონფერენციამ (COP) დაამატა ათი მდგრადი ორგანული დამბინძურებელი (მოდ), სახელდობრ, შემდეგი პესტიციდები: ქლორდეკონი, ალფა-ჰექსაქლორციკლოჰექსანი, ბეტა-ჰექსაქლორციკლოჰექსანი, ლინდანი, ენდოსულფანი და პენტაქლორბენზოლი (PeCBz); სამრეწველო ქიმიკატები: კომერციული პოლიბრომირებული დიფენილ ეთერები (POP-PBDE), ჰექსაბრომ ბიფენილის (HBB), ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანის (HBCD), პერფტოროქტან სულფონმჟავა და მისი მარილები (PFOS) და პერფტოროქტანის სულფონილფტორიდი (PFOSF).

სტოკჰოლმის კონვენცია მხარეებს ავალდებულებს, კონვენციის რატიფიცირებიდან/შესწორებების დამტკიცებიდან ორი წლის ვადაში შეიმუშაონ ეროვნული სამოქმედო გეგმა (NIP), რომელიც აღწერს ქვეყანაში სტოკჰოლმის კონვენციით აკრძალულ ნივთიერებებთან მიმართებით არსებულ მდგომარეობას და შეიმუშაონ სამოქმედო გეგმები.

საქართველოს პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა (NIP) დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 აპრილის N907 განკარგულებით „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“.

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) დაფინანსებით და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ტექნიკური მხარდაჭერით საქართველოსთვის მომზადდა ეროვნული სამოქმედო გეგმის (NIP) განახლებული ვერსია კონვენციაში დამატებული ახალი მოდ-ების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი ეროვნული სამოქმედო გეგმა (NIP) აღწერს საქართველოში მდგრად ორგანულ დამბინძურებლებთან (მოდ) მიმართებით არსებულ ფონურ მდგომარეობას და მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (მოდ) შემადგენლობასთან მიმართებით არსებულ ვითარებას. ამასთანავე, ეროვნული სამოქმედო გეგმა (NIP) დეტალურად აღწერს კონვენციის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მიზნით საჭირო ღონისძიებებს. ეროვნული

სამოქმედო გეგმის მზადების პროცესში სრულად აღიწერა მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (მოდ) ყველა ჯგუფი, თავდაპირველი და შემდგომ დამატებული ნივთიერებების ჩათვლით. აღწერა სრულად იძლევა საქართველოში სხვადასხვა კატეგორიის მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (მოდ) არსებობის შესახებ შეფასების გაკეთების და ასევე სამოქმედო გეგმის განსაზღვრის პრიორიტეტების მინიჭების შესაძლებლობას. თუმცა, ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში, მაინც იქნება დამატებით უფრო ვრცელი და ყოვლისმომცველი ინვენტარიზაციების განხორციელების აუცილებლობა.

საქართველოში არ იწარმოება მდგრადი ორგანული დამბინძურებლების სიაში (არსებულ და ახლად დამატებულ) შემავალი პესტიციდები. აკრძალულია ყველა მდგრადი ორგანული დამბინძურებელი პესტიციდის გამოყენება. თუმცა, ქვეყანაში კვლავ არსებობს პესტიციდების მარაგები. შემორჩენილი პესტიციდების მარაგებს შორის ძირითადი ნაწილი განთავსებულია იაღლუჯას პოლიგონზე, რომლის ფართობიც დაახლოებით 4 (ოთხ) ჰექტარს შეადგენს.

2011-2014 წლების პერიოდში გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) დაფინანსებით განხორციელდა იაღლუჯას პოლიგონის ქიმიური დაბინძურების და გარემოსდაცვითი რისკების დადგენა. ხსენებული პროექტის ფარგლებში მოხდა 230 ტონა პესტიციდის ამოღება, შეფუთვა და მისი გატანა ბელგიასა და საფრანგეთში გასანადგურებლად. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ხსენებული მარაგების დეტალური ინვენტარიზაცია და შემუშავდა პოლიგონის რემედიაციის სამოქმედო გეგმის ალტერნატიული ვარიანტები. 2016 წელს მოხდა დამატებით 208 ტონა ვადაგასული პესტიციდის გატანა საფრანგეთში განადგურების მიზნით.

პოლიქლორირებული ბიფენილებისთვის (PCBs) ჩატარდა პოლიქლორირებული ბიფენილების პირველადი სკრინინგი ელექტრომოწყობილობებში (ტრანსფორმატორები, კონდენსატორები, ამომრთველები).

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ინვენტარიზებული ზეთების 20%-ზე მეტი შეიცავს პოლიქლორირებული ბიფენილებს (პქბ) ზღვრულად დასაშვებ ნორმაზე (50 ppm) მეტი ოდენობით. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომპანიები ახდენენ გამოყენებული ტრანსფორმატორის ზეთების მექანიკურად გაწმენდას და ხელმეორედ გამოყენებას პოლიქლორირებული ბიფენილის შემცველობაზე შემოწმების გარეშე, რაც მთელ სისტემაში ქმნის ე.წ. „ჯვარედინი დაბინძურების“ მაღალ რისკს.

არაგანზრახ წარმოებული (თანაური) მოდ-ბის პოლიქლორირებული დიბენზო დიოქსინების (PCDD)/პოლიქლორირებული დიბენზო ფურანების (PCDF) ინვენტარიზაციის შედეგად განისაზღვრა, რომ 2014 წელს საქართველოში ყველა ძირითადი წყაროებიდან პოლიქლორირებული დიბენზო დიოქსინების (PCDD)/პოლიქლორირებული დიბენზო ფურანების (PCDF) გარემოში გაფრქვევის დონემ 33.4 გ ტოქსიკურობის ექვივალენტი (TEQ) შეადგინა, რომლის ყველაზე დიდი წილი მოდიოდა ფერადი და შავი ლითონების წარმოების სამრეწველო პროცესებზე.

ასევე, პროექტის ფარგლებში განხორციელდა ახალი მოდ-ების წინასწარი ინვენტარიზაცია და შეფასება, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ საქართველოს არასდროს უწარმოებია მდგრადი ორგანული დამბინძურებლები და მისი შემცველი მასალები. თუმცა, ხორციელდებოდა ზემოაღნიშნული ნივთიერების შემცველი პროდუქციის ქვეყანაში იმპორტი.

პოლიბრომირებული დიფენილ ეთერების (POP-PBDE) ინვენტარიზაციის შედეგად განისაზღვრა, რომ:

- ქვეყანაში იმპორტირებულ 1975-2004 წლებში წარმოებულ სატრანსპორტო საშუალებებში (სავარძლების პოლიურეთანის ქაფში (PUR)) პოლიბრომირებული დიფენილ ეთერების საერთო რაოდენობა შეადგენს 91 ტონას, რომელშიც 60 ტონა მოდიოდა მსუბუქ ავტომობილებზე, 7 ტონა სატვირთო ავტომობილებზე და 24 ტონა ავტობუსებზე. ხოლო პოლიურეთანის (PUR) ქაფის მიახლოებითი საერთო რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით შეადგენს 10.000 ტონას.
- ელექტრონულ სხივურ მილაკიან (CRT) ელექტრო მოწყობილობებში (ტელევიზორები, კომპიუტერის მონიტორები) პოლიბრომირებული დიფენილ ეთერების დაახლოებითი ოდენობა მერყეობს 4.4ტ და 12.9 ტონას შორის. ხოლო პოლიბრომირებული დიფენილ ეთერების შემცველი პოლიმერული ფრაქციის (პლასტიკი) ჯამური ოდენობა შეადგენს დაახლოებით 5060 ტონას.

ინვენტარიზაციის მიხედვით ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანი (HBCD), პერფტოროქტან სულფონმჟავა (PFOS) და მასთან დაკავშირებული ქიმიური ნივთიერებები დღესდღეობით საქართველოში არ იწარმოება.

თუმცა ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანის (HBCD), პერფტოროქტან სულფონმჟავას (PFOS) შემცველი მასალების და პროდუქციის ქვეყანაში შემოსვლა ხდება იმპორტის გზით, კერძოდ:

- ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანს (HBCD) ძირითადად შეიცავს სამშენებლო სექტორში გამოყენებული საიზოლაციო მასალები და სპეც ტანსაცმელი
- პერფტოროქტან სულფონმჟავას (PFOS) ძირითადად შეიცავს ხანძარსაწინააღმდეგო ქაფები, ტექსტილი, საავიაციო ჰიდრაულიკური ზეთები .

ინვენტარიზაციის შედეგად განისაზღვრა:

- 2006-2012 წლებში საქართველოში სამშენებლო სექტორში იმპორტირებულ 700 ტონამდე პოლისტიროლის საიზოლაციო ქაფში ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანის (HBCD) სავარაუდო რაოდენობამ შეადგინა 4000-20000 კილოგრამი
- 2006-2014 წლებში საქართველოში იმპორტირებულ 1600 ტონამდე უნიფორმებში ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანი (HBCD) სავარაუდო რაოდენობამ შეადგინა 35324-240992 კილოგრამი
- 2006-2014 წლებში საქართველოში იმპორტირებულ 6600 ტონამდე საავიაციო ჰიდრაულიკურ სითხეებში პერფტოროქტან სულფონმჟავას

(PFOS) და მასთან დაკავშირებული ქიმიური ნივთიერებების სავარაუდო რაოდენობამ შეადგინა 3338-6673 კილოგრამი

- 2006-2014 წლებში საქართველოში იმპორტირებულ 340 ტონამდე ხანძარსაწინააღმდეგო ქაფებში პერფტოროქტან სულფონმჟავას (PFOS) და მასთან დაკავშირებული ქიმიური ნივთიერებების სავარაუდო რაოდენობამ შეადგინა 1647-19776 კილოგრამი.

ქვეყანაში პენტაქლორბენზოლი (PeCBz) და ჰექსაბრომბიფენილის (HBB) და მათი შემცველი მასალების იმპორტი არ ხდება, არ გამოიყენება და არ აღირიცხება მათი მარაგები.

სტოკჰოლმის კონვენციის ოფიციალური საკონტაქტო პირის (OCP) საშუალებით (სტოკჰოლმის კონვენციის ამოქმედების თაობაზე მე-15 მუხლის შესაბამისად) მოხსენების მექანიზმს და კონვენციის სხვა მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლას კოორდინირებას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ეროვნული სამოქმედო გეგმის ძირითადი მიზნები

სასიცოცხლო ციკლის უსაფრთხო მართვა, დაბინძურების კონტროლი, მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (მოდ) შემცირება, გადამუშავება და საბოლოო აღმოფხვრა საქართველოში; მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ (მოდ) სტოკჰოლმის კონვენციის მოთხოვნების შესრულება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ადამიანების ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვას, მდგრად განვითარებას და საერთაშორისო ინტეგრაციას.

ეროვნული სამოქმედო გეგმის პრიორიტეტები

მოდ-ების მართვის პრიორიტეტული საკითხები დადგინდა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციით, UNEP/GEF მოდ-ების პროექტის ერთობლივი ძალისხმევით, ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით და გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრიორიტეტული საკითხები:

- პოლიქლორირებული ბიფენილები (პქბ)
- მოდ პესტიციდები (იალლუჯის სამარხი)
- არაგანზრახ წარმოებული (თანაური) მოდ-ბი პოლიქლორირებული დიბენზო დიოქსინები (PCDD)/პოლიქლორირებული დიბენზო ფურანები (PCDF)
- პოლიბრომირებული დიფენილ ეთერები (POP-PBDEs)
- ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანი (HBCD) და პერფტოროქტან სულფონმჟავას (PFOS) და მასთან დაკავშირებული ქიმიური ნივთიერებები

პოლიქლორირებული ბიფენილები (პქბ) – ეხება პოლიქლორირებული ბიფენილების (პქბ) შემცველ ელექტრომოწყობილობების (ტრანსფორმატორები, კონდენსატორები, ამომრთველები) ზეთებს და ნარჩენებს.

ელექტრომოწილობების ზეთების მართვის არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საჭიროა მთელი ქვეყნის მასშტაბით დაბინძურებული ზეთის მოცულობის შეფასება, ყველა დანადგარიდან ნიმუშების აღება ზეთების დაბინძურების დონის დასადგენად და ქვეყნის დონეზე დაბინძურების დონის გასარკვევად.

ასევე საჭიროა განხორციელდეს პოლიქლორირებული ბიფენილების (PCBs) შემცველი ზეთების და მოწილობების გარემოსთვის უსაფრთხო მართვა და მათი ხმარებიდან ეტაპობრივი ამოღების მონიტორინგი.

მოდ პესტიციდები - ეხება იაღლუჯის ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების სამარხს, რომელიც გაიხსნა 1976 წელს და ფუნქციონირებდა 1985 წლამდე. აღნიშნულ პერიოდში პოლიგონზე გადატანილი და დამარხულ იქნა 2700 ტონამდე სხვადასხვა ქიმიური ჯგუფის პესტიციდი.

პოლიგონის ტერიტორიაზე წარმოდგენილია სარკოფაგები, შურფები და ტრანშეები, რომლებშიც განთავსებულია პესტიციდები და სხვა აგროქიმიკატები. მოდ-პესტიციდები უმთავრესად წარმოდგენილია 1,1,1-ტრიქლორ-2,2-ბის (D-ქლორფენილ) ეთანის (DDT) და ჰეპტაქლორის სახით, მაგრამ ასევე გვხვდება სხვა მოძველებული პესტიციდები და აგროქიმიკატები.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით საჭიროა:

- იაღლუჯას სამარხში არსებული მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შემცველი პესტიციდების ამოღება და შეფუთვა
- იაღლუჯას პოლიგონზე არსებული და ქვეყანაში შეგროვებული მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შემცველი პესტიციდების ელიმინაცია
- იაღლუჯას სამარხის მდგომარეობის გაუმჯობესება; სამარხის სტატუსის შეფასება; დაბინძურებული გრუნტის რემედიაცია; სამარხის საიმედო იზოლაცია და სხვა.

არაგანზრახ წარმოებული (თანაური) მოდ-ბი პოლიქლორირებული დიბენზო დიოქსინები (PCDD)/პოლიქლორირებული დიბენზო ფურანები (PCDF) - ეხება არაგანზრახ წარმოებული (თანაური) მოდ-ის პოლიქლორირებული დიბენზო დიოქსინების /პოლიქლორირებული დიბენზო ფურანების გაფრქვევებს.

ინვენტარიზაციის მიხედვით არაგანზრახ წარმოებული (თანაური) მოდ-ის პოლიქლორირებული დიბენზო-დიოქსინების (PCDD)/პოლიქლორირებული დიბენზო ფურანების (PCDF) ჯამური წლიური ემისია 2004 წლის მონაცემებთან შედარებით შემცირებულია, თუმცა არის გარკვეული წყაროების კატეგორიები, რომელთა მაჩვენებელიც მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა:

- შავი და ფერადი ლითონის წარმოების ზრდა
- მინერალური პროდუქტების წარმოების ზრდა
- სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის ზრდა

- ზოგიერთი ქიმიური ნივთიერებების და სხვადასხვა სამომხმარებლო პროდუქციის (მაგ: მუყაო, ქლორტუტოვანი, ტყავი) წარმოების ზრდა

შესაბამისად, საჭიროა ზემოაღნიშნულ სექტორებში ემისიების შემცირების მიზნით სათანადო ღონისძიებების გატარება.

პოლიბრომირებული დიფენილ ეთერები (POP-PBDEs) - ეხება პოლიბრომირებული დიფენილ ეთერების (POP-PBDEs) შემცველ ელექტრონულ სხივურ მილაკიან ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობებს/ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენებს (EEE/WEEE) და 1975-2004 წლებში წარმოებულ სატრანსპორტო საშუალებებს.

არსებული სიტუაციაზე დაყრდნობით საჭიროა ქვეყანაში განხორციელდეს:

- ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების/ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების (EEE/WEEE) ინვენტარიზაცია
- ინვენტარიზაციის ჩატარება სატრანსპორტო სექტორში, (ექსპლუატაციიდან გამოსული მანქანების ჩათვლით) პოლიბრომირებული დიფენილ ეთერების ((POPs-PBDEs) შემცველობაზე
- შეზღუდვების დაწესება ელექტრონულ სხივურ მილაკიან ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების (EEE) და 2005 წლამდე წარმოებულ ავტომობილების იმპორტზე
- საუკეთესო არსებული ტექნოლოგიების და საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკების (BAT/BEP) გამოყენების ხელშეწყობა პოლიბრომირებული დიფენილ ეთერების (POPs-PBDEs) შემცველი მასალების გადამუშავებასთან დაკავშირებით.

ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანი (HBCD) და პერფტოროქტან სულფონმჟავას (PFOS) და მასთან დაკავშირებული ქიმიური ნივთიერებები - ეხება ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანის (HBCD) და პერფტოროქტან სულფონმჟავას (PFOS) და მისგან წარმოებულ ქიმიური ნივთიერებების შემცველ საგნებს და მასალებს (საიზოლაციო მასალები, სპეცტანსაცმელი, ხანძარსაწინააღმდეგო ქაფები, ტექსტილი, ჰიდრაულიკური ზეთები)

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ქვეყანაში საჭიროა განხორციელდეს:

- ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანი (HBCD) და პერფტოროქტან სულფონმჟავას (PFOS) შემცველი მასალების და სამომხმარებლო პროდუქციის დეტალური ინვენტარიზაცია
- ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანი (HBCD), პერფტოროქტან სულფონმჟავას (PFOS) და მისგან წარმოებული ქიმიური ნივთიერებების შემცველი მასალებისა და პროდუქციის ექსპორტ/იმპორტის კონტროლი

- ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანი (HBCD), პერფტოროქტან სულფონმჟავას (PFOS) და მისგან წარმოებული ქიმიური ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებით საუკეთესო არსებული ტექნოლოგიების და საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკის (BAT/BEP) დანერგვის ხელშეწყობა.

ზოგადი ხასიათის პრობლემების მიხედვით ქმედებები შემდგენიარად გადანაწილდა:

- სტოკჰოლმის, ბაზელის და როტერდამის კონვენციებისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზირებული ეროვნული კანონმდებლობის შემუშავება
- ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება ქიმიური ნივთიერებების და ნარჩენების მართვის სფეროში
- კონტროლის გაძლიერება მოდ-ის შემცველი და მაღალი საფრთხის მქონე მასალების და პროდუქციის ექსპორტ-იმპორტსა, რეალიზაციასა, გამოყენებასა, ტრანსპორტირებასა, დასაწყობებასა და განთავსებაზე
- მოდ-ის შემცველი მასალების გადამუშავებასთან დაკავშირებით საუკეთესო არსებული ტექნოლოგიების და საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკების (BAT/BEP) გამოყენების ხელშეწყობა
- ძველ ნაგავსაყრელების გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და ნარჩენების მართვის თანამედროვე პრაქტიკის ხელშეწყობა
- მოდ-ით დაბინძურებული ტერიტორიების მართვა, რემედიაცია და მოდ-ის შემცველი მასალების ელიმინაცია
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მოდ-ის უარყოფით ზემოქმედებაზე ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე
- მოდ-თან დაკავშირებული კვლევების ხელშეწყობა და მოდ-ის მონიტორინგის შესაძლებლობების შექმნა
- ქიმიური ნივთიერებების და მოდ-ის უსაფრთხო მართვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საპილოტე პროექტების განხორციელება
- ქიმიური ნივთიერებების და მოდ-ის მართვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება

სამოქმედო გეგმები

მოდ-ების სამოქმედო გეგმები შემუშავდა იდენტიფიცირებული პრიორიტეტების მიხედვით, კონსულტაციების რეჟიმში. გეგმა შედგება ამოცანების, ღონისძიებების, მოსალოდნელი შედეგების, პასუხისმგებელი მხარეების, განხორციელების ვადების, დაახლოებითი ხარჯებისა და დაფინანსების პოტენციური წყაროებისგან.

ცხრილი 1. საკანონმდებლო ბაზის შემუშავების და ინსტიტუციური გაძლიერების გეგმა

ამოცანები	ღონისძიებები	მოსალოდნელი შედეგები	წამყვანი და პარტნიორი ორგანიზაციები (პირველად მითითებული ორგანიზაცია არის წამყვანი, დანარჩენები კი პარტნიორები)	მოსალოდნელი ხარჯები	დაფინანსების შესაძლო წყაროები	ვადები
მდგრადი ორგანული დამბინძურებლების ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინირება	სამინისტროთაშორისი საკოორდინაციო ჯგუფის ჩამოყალიბება	ეროვნული სამოქმედო გეგმის ეფექტური განხორციელება	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სხვა შესაბამის სამინისტროებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად	100 000 აშშ დოლარი	GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები	2018-2022
სტოკჰოლმის, ბაზელის და როტერდამის კონვენციებსა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზირებული ეროვნული კანონმდებლობის შემუშავება	არსებული მდგომარეობის ანალიზი; ახალი კანონმდებლობის შემუშავება ან არსებულის გაუმჯობესება მდგრადი ორგანული დამბინძურებლების მართვის გათვალისწინებით აღსრულების საჭიროებების	შემუშავებულია ახალი კანონმდებლობა ან იდენტიფიცირებულია შესწორებები, რომლებიც უნდა შევიდეს კანონმდებლობაში კანონმდებლობა გაუმჯობესებულია და მასში ასახულია კონვენციების და ევროკავშირის	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის	300 000 აშშ დოლარი	GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები	2018-2022

	განსაზღვრა. დამბინძურებელი იხდის - პრინციპის და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განხორციელება	დირექტივების შესაბამისი მოთხოვნები ინერგება დამბინძურებელი იხდის - პრინციპი და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება	სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო			
სტოკჰოლმის, ბაზელისა და როტერდამის კონვენციებით დარეგულირებული ქიმიური ნივთიერებების და ნარჩენების მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბება და განახლება.	სტოკჰოლმის, ბაზელისა და როტერდამის კონვენციებით დარეგულირებული ქიმიური ნივთიერებების და ნარჩენების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა და განახლება, საერთაშორისო სტანდარტებისა და არსებული ვითარების ანალიზის გათვალისწინებით	შემუშავებულია მონაცემთა ბაზა, რომელიც შეასაბამება საერთაშორისო სტანდარტებს (IUPAC და CAS), კოდირების ჰარმონიზირებულ სისტემას (HS) და ამის საფუძველზე, გაუმჯობესებულია სტოკჰოლმის, ბაზელისა და როტერდამის კონვენციებით რეგულირებული ქიმიური ნივთიერებების ნარჩენების მართვა	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	250 000 აშშ დოლარი	GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები	2020-2022
მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (მოდ) ნარჩენების მართვის გათვალისწინება ნარჩენების მართვის პოლიტიკის და	ნარჩენების მართვის ჩარჩო პროგრამის და ნარჩენების მართვის სისტემის შემუშავება მდგრადი ორგანული დამბინძურებლების ნარჩენების მართვის	შემუშავებულია ნარჩენების მართვის ჩარჩო პოლიტიკა და ნარჩენების მართვის ერთიანი სისტემა მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (მოდ) გათვალისწინებით	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად	150 000 აშშ დოლარი	GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები	2020-2022

ნარჩენების მართვის ერთიან სისტემაში	გათვალისწინებით და ტექნიკური, ორგანიზაციული, ეკონომიკური და ფინანსური განხორციელებადობის მხედველობაში მიღებით.					
ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება ქიმიური ნივთიერებების და ნარჩენების მართვის სფეროში	ქიმიური ნივთიერებების და ნარჩენების მართვის სფეროში ინსტიტუციური ჩარჩოს იდენტიფიცირება და შესაძლებლობების გაძლიერება	ინსტიტუციური ჩარჩოები ინდეტიფიცირებულია და შესაძლებლობები გაძლიერებულია	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად	150 000 აშშ დოლარი	GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები	2018-2022
ყველა ჩართული სამინისტროსა და სააგენტოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის კუთხით	ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება შესაძლებლობების გაძლიერებისათვის	თანამშრომლების უნარები გაუმჯობესებულია	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (შემოსავლების სამსახური) სხვა სათანადო უწყებები	150 000 აშშ დოლარი	GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები	2018-2022

<p>ქიმიურად დაბინძურებული მასალების კვლევებში მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შემცველობის იდენტიფიცირების მექანიზმის ჩართვა</p>	<p>თითოეული მდგრადი ორგანული დამბინძურებლის შემცველი მასალების ჯგუფისთვის იდენტიფიცირების მექანიზმის შემუშავება</p>	<p>ქიმიურად დაბინძურებული მასალების იდენტიფიცირების მექანიზმი შემუშავებულია</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>300 000 აშშ დოლარი</p>	<p>GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები</p>	<p>2020-2022</p>
<p>ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების ხელშეწყობა</p>	<p>ქიმიური ნივთიერებების მართვასთან დაკავშირებული პროექტების შემუშავება და განხორციელება ქიმიური ნივთიერებების მართვის შესახებ საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეკრულებების დადება საქართველოს ჩართვა რეგიონულ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში</p>	<p>ქიმიური ნივთიერებების მართვასთან დაკავშირებული პროექტები შემუშავებულია და განხორციელებულია ქიმიური ნივთიერებების მართვის შესახებ საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეკრულებები დადებულია საქართველო ჩართულია რეგიონულ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო კვლევითი ინსტიტუტები და უნივერსიტეტები</p>	<p>200 000 აშშ დოლარი</p>	<p>GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები</p>	<p>2018-2022</p>

ცხრილი 2. მოდ-პესტიციდების სამოქმედო გეგმა

ამოცანები	ღონისძიებები	მოსალოდნელი შედეგები	წამყვანი და პარტნიორი ორგანიზაციები (პირველად მითითებული ორგანიზაცია არის წამყვანი, დანარჩენები კი პარტნიორები)	მოსალოდნელი ხარჯები	დაფინანსების შესაძლო წყაროები	ვადები
მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (მოდ) პესტიციდების დამატებითი ინვენტარიზაცია	მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (მოდ) შემცველი პესტიციდების დამარტებითი ინვენტარიზაცია სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) მეთოდოლოგიის მიხედვით	ინვენტარიზაცია დასრულებულია. ანგარიში შეიცავს მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (მოდ) შემცველი პესტიციდების შესახებ განახლებულ ინფორმაციას	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	200 000 აშშ დოლარი	GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები	2018-2019
კონტროლის გაძლიერება მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (მოდ) შემცველი და მაღალი საფრთხის მქონე პესტიციდებისა ექსპორტ იმპორტსა, ტრენინგების ჩატარება	ფერმერების ასოციაციებისათვის, შემოსავლების სამსახურისთვის, იმპორტიორებისათვის, საცალო გამყიდველებისათვის და სხვა სამიზნე ჯგუფებისათვის ტრენინგების ჩატარება	ხორციელდება უკანონოდ გადატანის და ფალსიფიცირებული პროდუქტების პრევენცია	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (შემოსავლების სამსახური)	200 000 აშშ დოლარი	GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები	2018-2021

რელიზაციასა, გამოყენებასა, ტრანსპორტირებასა და დასაწყობებაზე	მდგრადი ორგანული დამზინძურებლების (მოდ) შემცველი და მაღალი საფრთხის მქონე პესტიციდების შესახებ					
პესტიციდებისცარიე ლი კონტეინერების/შეფ უთვების მართვის სისტემის შემუშავება	საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორობის შექმნა პესტიციდების მომწოდებლებთან / საწარმოებთან	ხორციელდებაპესტიციდე ბის ცარიელი კონტეინერების/ შეფუთვების გარემოსთვის უსაფრთხოდ მართვა	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	250 000 აშშ დოლარი	GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები	2018-2020
სოფლის მეურნეობაში საუკეთესო პრაქტიკის შემუშავება ორგანული სოფლის მეურნეობის დანერგვის ხელშეწყობა	სოფლის მეურნეობაში საუკეთესო პრაქტიკის შემუშავება, ფერმერებსა და ფერმერთა ასოციაციებში გავრცელება ორგანული ფერმერობის ხელშეწყობა ორგანული ფერმერობის სარგებლიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება	შემუშავდა და გავრცელდა სოფლის მეურნეობის საუკეთესო პრაქტიკა. შეფასდა ორგანული ფერმერობის ხელშეწყობისმათ შორის სუბსიდიების გამოყოფის შესაძლებლობები ორგანული ფერმერობის სარგებლიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	500 000 აშშ დოლარი	GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები	2019-2022

ცხრილი 3. პოლიქლორირებული ბიფენილების (PCB) სამოქმედო გეგმა

ამოცანები	ღონისძიებები	მოსალოდნელი შედეგები	წამყვანი და პარტნიორი ორგანიზაციები (პირველად მითითებული ორგანიზაცია არის წამყვანი, დანარჩენები კი პარტნიორები)	მოსალოდნელი ხარჯები	დაფინანსების შესაძლო წყაროები	ვადები
პოლიქლორირებული ბიფენილების (PCBs) დეტალური ინვენტარიზაცია	ქვეყნის მასშტაბით პოლიქლორირებული ბიფენილების (PCBs) შემცველი ზეთების და დანადგარების ინვენტარიზაცია პოლიქლორირებული ბიფენილების (PCBs) ღიადგამოყენების შეფასება	განხორციელდა პოლიქლორირებული ბიფენილების (PCBs) შემცველი ზეთების და დაბინძურებული დანადგარების ინვენტარიზაცია და შეიქმნა მონაცემთა ბაზა. შეფასდა პოლიქლორირებული ბიფენილების (PCBs) ღიადგამოყენების არსებობა	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო ენერგოსექტორი	1.9 მლნ. აშშ დოლარი	GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები	2018-2022
პოლიქლორირებული ბიფენილების (PCBs) შემცველი მოწყობილობების გარემოსთვის	პოლიქლორირებული ბიფენილების (PCBs) მფლობელებისთვის ტრენინგების ჩატარება ექსპლუატაციაში მყოფი და ექსპლუატაციიდან	პოლიქლორირებული ბიფენილების (PCBs) შემცველი მოწყობილობების მართვა ხორციელდება უსაფრთხოდ	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი	300 000 აშშ დოლარი	GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები	2018-2022

<p>უსაფრთხოდ მართვა</p>	<p>გამოსული პოლიქლორირებული ბიფენილების (PCBs) შემცველი მოწყობილობების უსაფრთხო მართვაზე საქართველოში პოლიქლორირებული ბიფენილებით (PCBs) დაბინძურებული ზეთების განადგურების შესაძლებლობების შეფასება</p>		<p>განვითარების სამინისტრო ენერგოსექტორი</p>			
<p>პოლიქლორირებული ბიფენილების (PCBs) შემცველი ზეთების დამოწყობილობების გაუვნებელყოფის გეგმის შემუშავება, კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად პოლიქლორირებული ბიფენილების (PCBs) შემცველი მოწყობილობების ხმარებიდან ეტაპობრივი ამოღების</p>	<p>პოლიქლორირებული ბიფენილების (PCBs) შემცველი ზეთების და მოწყობილობების ცალკეულ მფლობელებთან მოლაპარაკების წარმოება და შეთანხმება მათი გაუვნებელყოფის ინდივიდუალურ გეგმებთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც მონიტორინგს გაუწევს ინდივიდუალური გეგმის</p>	<p>შემუშავებულია პოლიქლორირებული ბიფენილების (PCBs) შემცველი ზეთების და მოწყობილობების გაუვნებელყოფის ინდივიდუალური გეგმები და კონტროლდება პოლიქლორირებული ბიფენილების (PCBs) ხმარებიდან ეტაპობრივი ამოღება შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც აკონტროლებს ინდივიდუალური გაუვნებელყოფის გეგმების</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო ენერგოსექტორი</p>	<p>400 000 აშშ დოლარი</p>	<p>GEF, დონორები</p>	<p>2019-2021</p>

მონიტორინგი	შესრულებას პოლიქლორირებული ბიფენილების (PCBs) მფლობელების დავალდებულება შეთანხმებული გეგმების განხორციელებაზე და შესაბამის ანგარიშგებაზე ჯარიმების დაწესება შეუსაბამობაზე და ვალდებულების შეუსრლებლობაზე	შესრულებას პოლიქლორირებული ბიფენილების (PCBs) მფლობელებს დაევალებათ ანგარიშის წარდგენა გაუვნებელყოფის პროცესის მიმდინარეობაზე დაწესდა ჯარიმები შეუსაბამობაზე და ვალდებულების შეუსრლებლობაზე				
-------------	---	---	--	--	--	--

ცხრილი 4. პოლიბრომირებული დიფენილ ეთერები (PBDEs) სამოქმედო გეგმა

ამოცანები	ღონისძიებები	მოსალოდნელი შედეგები	წამყვანი და პარტნიორი ორგანიზაციები (პირველად მითითებული ორგანიზაცია არის წამყვანი, დანარჩენები კი პარტნიორები)	მოსალო დნელი ხარჯები	დაფინანსების შესაძლო წყაროები	ვადები
ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების/ელე	ინვენტარიზაციის ეროვნული სამუშაო ჯგუფის შექმნა და	ინვენტარიზაციის ეროვნული სამუშაო ჯგუფი შექმნილია.	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	500 000 აშშ დოლარი	GEF, EU დონორი ქვეყნები და	2019-2021

<p>ქტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების (EEE/WEEE) ინვენტარიზაცია</p> <p>არსებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების (WEEE) შეგროვების და მართვის პროცესების შეფასება</p>	<p>დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება</p> <p>ინვენტარიზაციის სამუშაო გეგმის შემუშავება.</p> <p>ინვენტარიზაციის ჩატარება, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების/ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების (EEE/WEEE)-ის რაოდენობის დასადგენად და პოლიბრომირებული დიფენილ ეთერების ((POPs -PBDEs) შემცველობის შეფასება</p>	<p>დაინტერესებული მხარეები იდენტიფიცირებულია და მათი ჩართულობა უზრუნველყოფილია</p> <p>ინვენტარიზაციის სამუშაო გეგმა შემუშავებულია</p> <p>ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების/ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების (EEE/WEEE)-ის რაოდენობა დადგენილია და პოლიბრომირებული დიფენილ ეთერების ((POPs PBDEs) შეფასებულია</p>	<p>კერძო სექტორი</p> <p>შემგროვებელი და გადამამუშავებელი ორგანიზაციები</p>		<p>ორგანიზაციები</p>	
<p>ინვენტარიზაციის ჩატარება სატრანსპორტო სექტორში, (ექსპლუატაციიდან გამოსული მანქანების ჩათვლით) პოლიბრომირებული დიფენილ ეთერების ((POPs -PBDEs)</p>	<p>ინვენტარიზაციის ეროვნული სამუშაო ჯგუფის შექმნა.</p> <p>დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება</p> <p>ინვენტარიზაციის სამუშაო გეგმის შემუშავება</p>	<p>ინვენტარიზაციისთვის ეროვნული სამუშაო ჯგუფი შექმნილია.</p> <p>დაინტერესებული მხარეები იდენტიფიცირებულია</p> <p>ინვენტარიზაციის სამუშაო გეგმა შემუშავებულია</p> <p>განისაზღვრა ექსპლუატაციაში მყოფი და</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p> <p>საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p> <p>გადამამუშავებელი ორგანიზაციები</p>	<p>350 000 აშშ დოლარი</p>	<p>GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები</p>	<p>2019-2021</p>

შემცველობაზე	ექსპლუატაციაში მყოფი და ექსპლუატაციიდან გამოსული მანქანების რაოდენობის განსაზღვრა და პოლიბრომირებული დიფენილ ეთერების (POPs - PBDEs) შემცველობის დადგენა	ექსპლუატაციიდან გამოსული მანქანების რაოდენობა და დადგინდა პოლიბრომირებული დიფენილ ეთერების (POPs - PBDEs) შემცველობა				
შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობის განხილვა ელექტრონულ სხივურ მილაკიან (CRT) ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების (EEE) და 2005 წლამდე წარმოებული ავტომობილების იმპორტზე	კანონმდებლობაში სათანადო შეზღუდვის შეტანის შესაძლებლობის განხილვა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება და დასამტკიცებლად წარდგენა ახალი საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ საზოგადოების, იმპორტიორების, საცალო მოვაჭრეების და საბაჟო თანამშრომლების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება	განხილულ იქნა კანონმდებლობაში სათანადო შეზღუდვის შეტანის შესაძლებლობა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები ინიცირებულია და წარდგენილია დასამტკიცებლად ახალი საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ საზოგადოების, იმპორტიორების, საცალო მოვაჭრეებისა და საბაჟოს თანამშრომლების ცნობიერება ამაღლებულია	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო კერძო სექტორი	250 000 აშშ დოლარი	GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები	2019-2021

<p>ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების (WEEE) და ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების (EEE) პლასტიკის ნარჩენების გადამუშავების არსებული ტექნოლოგიების შეფასება და დამბინძურებლების არსებობის განსაზღვრა</p>	<p>ქვეყანაში არსებული გადამუშავების აქტივობების იდენტიფიცირება გადამუშავების გამოყენებული ტექნოლოგიების და დამბინძურებლების არსებობის შეფასება</p>	<p>ქვეყანაში არსებული გადამუშავების აქტივობები იდენტიფიცირებულია გადამუშავების გამოყენებული ტექნოლოგიები და დამბინძურებლების არსებობა შეფასებულია</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო კვლევითი ინსტიტუტები და უნივერსიტეტები</p>	<p>250 000 აშშ დოლარი</p>	<p>GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები</p>	<p>2019-2022</p>
<p>საუკეთესო არსებული ტექნოლოგიების და საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკის (BAT/BEP) გამოყენების ხელშეწყობა პოლიბრომირებული დიფენილ ეთერების (POPs-PBDEs) შემცველი მასალის გადამუშავებასთან დაკავშირებით</p>	<p>სტოკჰოლმის კონვენციის სახელმძღვანელო დოკუმენტების თარგმნა (ეროვნულ ენაზე) და გავრცელება პოლიბრომირებული დიფენილ ეთერების (POPs-PBDEs) შემცველი მასალების და ნარჩენების გადამუშავებასა და განთავსებასთან დაკავშირებით საუკეთესო არსებული ტექნოლოგიების და</p>	<p>სტოკჰოლმის კონვენციის სახელმძღვანელო დოკუმენტები პოლიბრომირებული დიფენილ ეთერების (POPs-PBDEs) შემცველი მასალების და ნარჩენების თაგადამუშავებასა და განთავსებასთან დაკავშირებით თარგმნილია (ეროვნულ ენაზე) და გავრცელებულია საუკეთესო არსებული ტექნოლოგიების და საუკეთესო</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო კერძო სექტორი</p>	<p>1 000 000 აშშ დოლარი</p>	<p>GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები</p>	<p>2019-2022</p>

	საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკის (BAT/BEP) გამოყენების საპილოტე პროექტის განხორციელება	გარემოსდაცვითი პრაქტიკის (BAT/BEP) გამოყენების საპილოტე პროექტი განხორციელებულია				
--	--	--	--	--	--	--

ცხრილი 5. ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანის (HBCD) სამოქმედო გეგმა

ამოცანები	ღონისძიებები	მოსალოდნელი შედეგები	წამყვანი და პარტნიორი ორგანიზაციები (პირველად მითითებული ორგანიზაცია არის წამყვანი, დანარჩენები კი პარტნიორები)	მოსალოდნელი ხარჯები	დაფინანსების შესაძლო წყაროები	ვადები
სამშენებლო სექტორში საიზოლაციო მასალებში პოლისტიროლის (EPS/XPS) საერთო რაოდენობის და ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანის	ინვენტარიზაციის ეროვნული სამუშაო ჯგუფის შექმნა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება ინვენტარიზაციის ჩატარება საიზოლაციო მასალებში პოლისტიროლის (EPS/XPS)	ინვენტარიზაციის ეროვნული სამუშაო ჯგუფი შექმნილია დაინტერესებული მხარეები იდენტიფიცირებულია განისაზღვრულია EPS / XPS საერთო რაოდენობა	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მშენებლობის ნებართვების გამცემი სხვა უწყებები სამშენებლო სექტორი კერძო სექტორი	350 000 აშშ დოლარი	GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები	2020-2022

(HBCD) შემცველობის განსაზღვრისათვის ინვენტარიზაციის ჩატარება	საერთო რაოდენობის და ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანის (HBCD) შემცველობის განსაზღვრის მიზნით	და შეფასებულია ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანის (HBCD) შემცველობა	გადამამუშავებლები ნაგავსაყრელების მფლობელები			
ტექსტილში გამოყენებული ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანის (HBCD) საერთო რაოდენობის განსაზღვრისათვის ინვენტარიზაციის ჩატარება	ინვენტარიზაციის ეროვნული სამუშაო ჯგუფის შექმნა. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება ინვენტარიზაციის სამუშაო გეგმის შემუშავება ტექსტილში ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანის (HBCD) რაოდენობის განსაზღვრა	ინვენტარიზაციის ეროვნული სამუშაო ჯგუფი შექმნილია. დაინტერესებული მხარეები იდენტიფიცირებულია ინვენტარიზაციის სამუშაო გეგმა შემუშავებულია ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანის (HBCD) რაოდენობა ტექსტილში განსაზღვრულია	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო კერძო სექტორი ნაგავსაყრელი მფლობელები გადამამუშავებლები	250 000 აშშ დოლარი	GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები	2020-2022
ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანის (HBCD) შემცველი მასალების, პროდუქტების და ნარჩენების, ექსპორტ/იმპორტის კონტროლი	ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანის (HBCD) შემცველი მასალების, პროდუქტების და ნარჩენების მარკირების საკანონმდებლო დოკუმენტების შემუშავება იმპორტიორების/ექსპორტიორების, საცალო მოვაჭრეების და საბაჟო სამსახურების	შემუშავებულია საკანონმდებლო დოკუმენტები ჰექსაბრომ ციკლოდოდეკანის (HBCD) შემცველი მასალების, პროდუქტების და ნარჩენების მარკირებასთან დაკავშირებით იმპორტიორებში/ექსპორტიორებში, საცალო მოვაჭრეებში და საბაჟო	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (შემოსავლების სამსახური) კერძო სექტორი	250 000 აშშ დოლარი	GEF, EU დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები	2020-2022

	წარმომადგენლების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება მარკირების და მართვის სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით	სამსახურებში ცნობიერება გაზრდილია				
